საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-260

19/04/2018

ქ. თბილისი

„გორის და კასპის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების „ლეხურა (იგოეთის)-სვენეთის“ ახალი DN700 გაზსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.11 ქვეპუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს „გორის და კასპის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულების „ლეხურა (იგოეთის)-სვენეთის“ ახალი DN700 გაზსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნა #4; 12.04.2018 წ.;
2. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #4; 12.04.2018 წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გორის და კასპის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ.

აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი